“დიო”-ს ფილიალები:
Branches of “Dio”:

თბილისი
დავით აღმაშენებლის ხეივანი
მე-12 კმ, ფარსადანის ქ. 3
Tbilisi
Davit Agmashenebeli alley,
12th km, Farsadani st. 3
Tel: (+995 32) 236 11 12

ბათუმი
ვახტანგ გორგასალის 128/134
Batumi
Vakhtang Gorgasali 128/134
Tel: (+995 32) 2 36 11 12 (502; 501; 500)
Mobile: 595 88 7878

ქუთაისი
ილია ჭავჭავაძის ქ. 20
Kutaisi
Ilia Chavchavadze st. 20
Tel: 0431 26 33 00; Mobile: 577 555 672

თელავი
ილია ჭავჭავაძის ქ. 52
Telavi
Ilia Chavchavadze st. 52
Mobile: 598 08 07 01; 598 08 07 02



სარჩევი
Contents

1 მზისგან დამცავი სისტემები
Sun protection systems

7 ინფრაწითელი გამათბობელი
Infra-red heater

9 შემინვის სისტემები
Glazing Systems

11 მინის გადახურვა
Glass ceiling

13 ალუმინის ვიტრაჟული ტიხარი
Aluminum-stained glass partition

15 ფასადის საჩრდილობელი სისტემები
External shading devices

17 გარედამცავი ჟალუზი
Roller-shutter

21 კარ-ფანჯარა
Doors and windows

25 ჟალუზი სანრემო
Sanremo blinds

27 ავტოფარეხის კარი
Garage door

29 ინდუსტრიული კარი
Industrial door

31 ჭიშკრის ავტომატიზაცია
Automatic electric gate

33 მწერებისგან დამცავი ბადე
Mosquito Screen

35 ფარდა-ჟალუზი
Roller blinds

53 მინის კარი
Glass Door

55 აბაზანის მინის ტიხარი
Glass partition for bathroom

57 მინის მოაჯირი
Glass balustrades

59 ავტომატური კარის სისტემები
Automatic door systems

61 მინის მოძრავი გადახურვა
Retractable glass ceiling

63 ჭკვიანი სახლი
smart home



„დიო“ 1996 წელს დაარსდა და დღესდღეობით საქართველოს ბაზარზე ლიდერის, პრესტიჟული კომპანიისა და საიმედო პარტნიორის პოზიციას იკავებს.

კომპანია 80-ზე მეტი დასახელების ინტერიერისა და ექსტერიერის (მეტალოპლასტმასისა და ალუმინის კარ-ფანჯრებს, მზისგან დამცავ და საჩრდილობელ სისტემებს, ჭიშკრის ავტომატიზაციასა და ინდუსტრიულ) პროდუქტს აწარმოებს.

„დიო“-ს მფლობელობაშია: თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი საწარმო, შოურუმი, ფილიალები (**თბილისი, თელავი, ქუთაისი, ბათუმი**) და სადილერო ქსელი მთელი საქართველოს მასშტაბით. კომპანია ფლობს ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტის **ISO 9001 : 2008; ISO 9001 : 2015–ის** სერტიფიკატებს.

„Dio“ was founded in 1996 and now is positioned as a leader, prestigious and a reliable partner company in the Georgian market.

The company produces more than 80 types of interior and exterior (plastic-steel and aluminum doors and windows, sun and shading devices, automatic electric gates and industrial) products.

Under the ownership of “Dio” is an enterprise equipped with modern technology, showroom branches **(in Tbilisi, Telavi, Kutaisi and Batumi)** and dealership network all over Georgia. The company owns the certificates of international quality management system: **ISO 9001:2008 and ISO 9001:2015.**

პერგოლა
Pergola

საქართველოში წარმოებული პერგოლა **„დიო“-ს ექსკლუზიური პროდუქტია.** ის მყარი კონსტრუქციით, არაალებადი წყალგაუმტარი ქსოვილით, განათებითა და სანიაღვრე მილებით აღჭურვილი მოხერხებული მოძრავი გადახურვის სისტემაა, რომელიც ავტომატურად - კულტით იმართება. შესაძლებელია პროდუქტის შემინვა სპეციალური მოძრავი სისტემებით, მათი ერთობლიობა კი განცალკევებულ, **ოთხივე სეზონზე** პრაქტიკულ სივრცეს ქმნის.

ღამის საათებში პერგოლით განათებული ტერასა განსაკუთრებულად მყუდრო და რომანტიკულია.

ბიოკლიმატური პერგოლა შედგება ალუმინის კონსტრუქციისა და მეტალის მოძრავი ფირფიტებისაგან, რაც უზრუნველყოფს სახურავის ნაწილობრივ ან სრულ გახსნას. ენერგოეფექტური **LED-განათებისა** და **გათბობის** სისტემის საშუალებით, შესაძლებელია გადახურული სივრცის გამოყენება საღამოს საათებშიც.



ტერასა, “ტიფანი”



შპს, რუსთავი, ბიოკლიმატური პერგოლა



კერძო ობიექტი, ადგილობრივი წარმოების პერგოლა

Pergola, manufactured in Georgia, is **an exclusive product of “Dio”**. It is a convenient mobile roofing system with solid construction, incombustible waterproof fabric, lighting and drainage pipes, which is automatically controlled using a remote control. It is possible to glaze the product with special moving systems, the combination of which creates a separate, practical space throughout all **four seasons.**

At night, the terrace illuminated with Pergola creates a particularly cozy and romantic atmosphere.

The **bioclimatic Pergola** consists of an aluminum frame and movable metal plates, that allow full or partial opening of the roof. Thanks to the energy-efficient **LED lighting** and heating system, the covered space can be used even in the evening hours.

ტენტი
Awning

ფერადი **ტენტები მცხუნვარე მზისგან დაცვის ყველაზე მოსახერხებელი საშუალებაა,** როგორც აგარაკებსა და ოფისებში, ასევე რესტორნებსა და სახლის აივნებზე. პროდუქტის კონსტრუქცია მყარია, ქსოვილი კი ესპანური კომპანია **RECASENS**-ის წარმოების არის.


იმართება ავტომატურად და მექანიკურად.

Colorful awning is the most effective in protection from sunrays, both in cottages and offices, as well as in restaurants and balconies. The construction of the product is solid, and the fabric is produced by the Spanish company **RECASENS**.

It is controlled automatically and mechanically.








ტენტი ათენა | Awning ATENA ბერძნული წარმოების პროდუქტია, რომლის მეშვეობით შესაძლებელია ტერიტორიის (აივნის/ტერასის) სრულ პერიმეტრზე დაჩრდილვა, ტენტის კონსტრუქცია მდგრადია, მისი ფიქსაცია კი მოაჯირზე ან რაიმე მყარ კონსტრუქციაზე თავისივე სამაგრებით არის შესაძლებელი, ამავდროულად პროდუქტი მედეგია ქარის მიმართ, იმართება მექანიკურად.





ტენტი იამაიკა | Awning JAMAICA შედარებით ბიუჯეტური - თურქული წარმოების საჩრდილობელი პროდუქტია, რომელიც „მკლავების" მეშვეობით იშლება და იკეცება ერთ სიბრტყეში, როგორც ელექტროძრავით, ასევე მექანიკურად.





ტენტი პალადიო | Awning PALADIO იტალიური წარმოების პროდუქტია. „მკლავების" მეშვეობით იშლება და იკეცება, მოძრაობს როგორც ელექტროძრავით, ასევე მექანიკური მართვით. ამ სახეობის ტენტით შესაძლებელია დიდი ფართობის ათვისება.





იტალიური წარმოების ვერტიკალური ტენტი იტალია | Vertical awning ITALIA, made in Italy იმართება ავტომატურად და მექანიკურად. მოძრაობს როლეტის პრინციპით, მისი ფიქსაცია კი შესაძლებელია სპეციალური „სტაციონარული მუხლის" საშუალებით მოაჯირზე, ხოლო „კაუჭების" საშუალებით ფენილზე.





იტალიური წარმოების ტენტი | Italian awning მკლავების მეშვეობით იშლება და მოძრაობს რადიუსზე, როგორც ელექტროძრავით, ასევე მექანიკური მართვით. მოძრავი „მუხლი" კედელზეა დაფიქსირებული და 180 გრადუსამდე იშლება. ამ ტიპის ტენტის დამზადება 90 გრადუსიანი დახრით არის შესაძლებელი.





სტაციონარული ტენტი | Stationary awning შეიძლება დამზადდეს განსაკუთრებით დიდი ზომის და განსხვავებული ფორმის (ოვალური; ტრაპეცია; შეჭრილი კუთხეებით), რაც საშუალებას გაძლევთ მზისგან დაიცვათ დიდი ფართობი და არასტანდარტული ფორმის აივნები თუ ტერასები.



ქოლგა
Umbrella

ქოლგა სასურველ ადგილას დამატებითი ჩრდილის შესაქმნელად პრაქტიკული პროდუქტია: **საცურაო აუზებთან, ბაღებსა და კაფე-ბარებში.**

„დიო“-ს შვეიცარიული „**GLATZ** “-ის თანამედროვე ქოლგა ნებისმიერ ამინდში კომფორტული და მდგრადია. სამართავად მარტივია როგორც **ავტომატურად**, ასევე **მექანიკურად. გათბობისა** და **ლედ განათების** საშუალებით ასევე ღამის საათებშიც პრაქტიკულია. შესაძლებელია ერთი ქოლგის საშუალებით **49 კვ.მ სივრცის** დაფარვა. **ქარიან ამინდში გამოყენებისთვის შესაძლებელია** ცალკეული მოდელის შერჩევა, რომელიც განსაკუთრებულად მედეგია.


“კატევე” დეველოპმენტი


სასტუმრო “ჯორჯია პალასი”


კერძო ობიექტი

The umbrella is a practical product for creating additional shade in the desired location: On swimming pools, gardens and cafe-bars.

“DIO’s” Swiss modern umbrella of **“GLATZ**” is comfortable and durable in any weather. It is easy to control both **automatically** and **mechanically.** Thanks to its heating and **LED lighting,** it is also practical at night. One umbrella can **cover 49 square meters** of area. **For use in windy weather,** a separate model can be selected, which is particularly effective.

ინფრაწითელი გამათბობელი
Infra-red heater

ინფრაწითელი გამათბობელი ცივ ამინდში ყველაზე პრაქტიკულია. იდეალურია დახურული, ან ნახევრად დახურული სივრცეებისთვის როგორც სახლებში, ასევე ღია კაფე-ბარებსა და რესტორნებში.

პროდუქტის დამონტაჟება შესაძლებელია: **ქოლგის, პერგოლის, ტენტის** ქვეშ, ნებისმიერ მყარ სადგამსა და კედელზე.

ინფრაწითელი გამათბობელი ასხივებს ეკოლოგიურად სუფთა სითბურ ენერგიას და მისი გამოყენების შემთხვევაში **ჰაერის ტენიანობა უცვლელი რჩება.**


რესტორანი “იოტა”



რესტორანი “ქართული ღვინის პალატა”


რესტორანი “NEW TIFLIS”

In cold weather Infra-red heater is most practical. Ideal for indoor or semi-closed spaces, both in residential buildings and in outdoor cafes, bars and restaurants.

The product can be installed: under an **umbrella, Pergola, awning,** on any durable stand and wall.

The infra-red heater emits environmentally friendly thermal energy, and the **air humidity remains unchanged** when using it.

შემინვის სისტემები
Glazing Systems

აივნების, ტერასებისა თუ სხვადასხვა ტერიტორიის (მათ შორის ინტერიერში) **შემინვა** მოსახერხებელი და დახვეწილი გადაწყვეტილებაა. „დიო“-ს სისტემები შემინულ სივრცეს ქარის, წვიმისა და მტვრისგან იცავს. ორიგინალური, ლამაზი და ესთეტიკური პროდუქტი სივრცეს **ვიზუალურად უფრო დიდს და ნათელს ხდის.**


Glazing **balconies, terraces or various areas** (including the interior) is a convenient and sophisticated decision. Systems of “Dio” protect the **glazed** space from wind, rain and dust. An original, beautiful and aesthetic product makes the **space visually bigger and brighter.**



რესტორანი “ქვევრი” პანორამა შემინვა



კერძო ობიექტი, სლაიდერი შემინვა





პანორამა | Panorama გამოიყენება საცხოვრებელ სახლებში ან კომერციულ ობიექტებზე ტერიტორიის შესამინად, ასევე მას აქვს მოაჯირის ფუნქციაც. სისტემა მოტორიზებულია, ვერტიკალური მინები მოძრაობს ვერტიკალურად რელსების მეშვეობით და შესაძლებელია დისტანციური კონტროლი.






ტიარა | Tiara ჰერმეტული მოძრავი სისტემაა ალუმინის პროფილში ჩასმული მინა-პაკეტით. პროდუქტის ყველა პანელი მოძრაობს ერთ რელსზე, ბოლოს კი 90 გრადუსით იკეცება, მართვის სისტემა ძალზედ მარტივი და პრაქტიკულია, აქვს ზღურბლი. ამ ტიპის შემინვის სისტემის გამოყენება არასტანდარტულ აივნებზეც შესაძლებელია.






სლაიდერი | Slider ადგილობრივი წარმოების თანამედროვე, ეფექტური მოძრავი შემინვის სისტემაა. პროდუქტს გააჩნია მცირე ზომის ზღურბლი, რელსზე მოძრავი მინის პანელები მოძრაობენ სლაიდურად. სამართავად კი პრაქტიკული და მარტივია.





მომენტუმი | Momentum სისტემა ეფექტურია როგორც აივნების შესამინად, ასევე შიდა ტიხრებისთვის. პანელები დაკომპლექტებულია ალუმინის პროფილებით, მისი მართვის სისტემა კომფორტულია და არ გააჩნია ზღურბლი.





ატრიუმი | Atrium ეფექტურია როგორც აივნების შესამინად, ასევე შიდა ტიხრებისთვის. მისი პანელები მოძრაობს დამოუკიდებლად და დაკომპლექტებულია ალუმინის პროფილებით, არ გააჩნია ზღურბლი.



მინის გადახურვა
Glass ceiling

“დიო”-ში შეგიძლიათ შეუკვეთოთ **მინის გადახურვის** რამდენიმე სახეობა. თერმულად შეღებილი მეტალის კონსტრუქცია მინასთან კომბინაციაში დახვეწილი და ესთეტიკური დიზაინით გამოირჩევა.

მას იყენებენ, როგორც: შენობის შესასვლელი ტერიტორიის გადასახურად; ტერასის გადასახურად (მათ შორის პერგოლასთან კომბინაციაში); ფანჩატურის გადასახურად; შიდა სივრცის იზოლირებისთვის. პროექტიდან გამომდინარე შესაძლებელია მინასთან კომბინაციაში გამოყენებული იქნას ე.წ. “სპაიდერული” სისტემა და ალუმინის კონსტრუქცია.

პროდუქტი სწრაფად მონტაჟდება, მტკიცე კონსტრუქცია კი ოთხივე სეზონს ერგება. შესაძლებელია კონსტრუქციის შეღებვა და სასურველი ფერის მინის შერჩევა შესაბამისი კატალოგიდან.


კერძო ობიექტი



რადიო “ფორტუნა”


კერძო ობიექტი

You can order several types of **glass ceiling** in “Dio”. Thermally painted metal construction in combination with glass creates a sophisticated and aesthetic design.

It is used as: to cover the entrance area of the building; to cover the terrace (including in combination with a pergola); to cover gazebo; To isolate the internal space. Depending on the project, the so-called “Spider System” and aluminum construction can be used.

The product is quick to install and its solid construction is suitable for all four seasons. It is possible to paint the structure and select glass of the desired color from the relevant catalogue.


ალუმინის ვიტრაჟული ტიხარი
Aluminum-stained glass partition

ევროპული დიზაინის თანამედროვე **ალუმინის ვიტრაჟული ტიხარი** ინტერიერში არსებული **სივრცეების გამოსაყოფად** გამოიყენება. განსაკუთრებით: სტუდიოს ტიპის ბინებში, საგარდერობე განყოფილების და ოფისებში სივრცის გამოსაყოფად. პროდუქტი წარმოადგენს როგორც ფუნქციურ ნაწილს, ასევე ელეგანტურ შტრიხს, რისი საშუალებით სივრცე მაქსიმალურად იზოგება და მეტად პრაქტიკული ხდება.

შედგება მაღალი ხარისხის ალუმინის კონსტრუქციისა და ნაწრთობი მინისგან.







A modern **aluminum stained glass partition** of European design is used **to separate the spaces in the interior.** Especially: for separating space in studio apartments, dressing rooms and offices. The product serves both a functional part and an elegant element, which saves space as much as possible and becomes more practical.

Consists of high-quality aluminum construction and tempered glass.

ფასადის საჩრდილობელი სისტემები
External shading devices

ფასადის სისტემები გარდა იმისა, რომ მოსახერხებელია - ამავდროულად ფასადს დახვეწილ და თანამედროვე იერსახეს ანიჭებს.

In addition to convenience - At the same time, it gives the facade a sophisticated and modern look.



თეგეტა მოტორსი, სანბრეიქერი


კერძო ობიექტი, რეფლექსოლი

სანბრეიქერი | Sunbreaker ალუმინის ეფექტური საჩრდილობელი სისტემაა. გამოიყენება ფასადებისთვის და, ასევე, შენობის დეკორატიულ ელემენტს წარმოადგენს. იგი შეიძლება დამონტაჟდეს როგორც ვერტიკალურად, ისე ჰორიზონტალურად. შედგება მსუბუქი და მყარი ჩამოსხმული ალუმინის ფირფიტებისაგან. მოძრაობის დროს ფირფიტების დახრილობა 0-დან 90 გრადუსამდე იცვლება. სურვილის შემთხვევაში შესაძლებელია გაკეთდეს სტაციონარული ვერსიაც.



გარე ჰორიზონტალური ჟალუზი | External horizontal blinds ფასადის პოპულარული სისტემაა, მისი გლუვზედაპირიანი მოძრავი ალუმინის ფირფიტების საშუალებით შესაძლებელია შენობაში სინათლის შემოსვლის მიმართულება სურვილისამებრ გადაანაწილოთ.



ფასადის როლეტი რეფლექსოლი | Facade REFLEKSOL rollos იცავს ფანჯრებსა და ვიტრაჟებს მზის სხივებისგან და ინარჩუნებს შენობაში გრილ და სასიამოვნო ტემპერატურას, რისი მეშვეობითაც შესაძლებელია კომუნალური ხარჯების შემცირება. პროდუქტისთვის გამოიყენება ქსოვილები, რომლის სტრუქტურაც იცავს ოთახს შემომავალი მკვეთრი სინათლისაგან, მაგრამ უზრუნველყოფს მაქსიმალურ ხილვადობას შიგნიდან გარეთ; მისი მონტაჟი შესაძლებელია შიდა ინტერიერში და ექსტერიერში. იმართება როგორც ავტომატურად, ისე მექანიკურად.



ვერანდის სისტემა | Porch system გამოიყენება ჰორიზონტალური, არასტანდარტული ან დახრილი ვიტრაჟებისთვის, სახურავის ზედაპირებსა და ზამთრის ბაღებისთვის. უმაღლესი ხარისხის ქსოვილები მზის სხივების შემოსვლას შენობაში ეფექტურად ამცირებს. იმართება როგორც ავტომატურად, ისე მექანიკურად.



გარედამცავი ჟალუზი
Roller-shutter

„დიო”-ს გარედამცავი ჟალუზი მზადდება ორმაგი ალუმინის სენდვიჩ პანელებისა ან პერფორირებული პროფილებისგან. იგი მსუბუქია, უხმაუროდ იმართება, როგორც ხელით, ასევე ავტომატურად. ბინებს, აგარაკებს, კომერციულ ობიექტებსა თუ ოფისებს საიმედოდ იცავს და სიმყუდროვეს ქმნის. გარდა ამისა, ჟალუზი დეკორატიული ელემენტია და ნებისმიერ ფასადს უფრო ესთეტიურს, თანამედროვე ტენდენციებზე მორგებულს ხდის.

პროდუქტი შესაძლებელია **პერფორირებული პანელებით დამზადდეს** - ამ ტიპის ჟალუზი განსაკუთრებით აქტიურად მოლებსა და სავაჭრო ცენტრებში გამოიყენება.


კერძო ობიექტი


კერძო ობიექტი, სარკმლიანი ჟალუზი



სავაჭრო ობიექტი, გარედამცავი ჟალუზი

Roller Shutters of “Dio” are made of double aluminum sandwich panels or perforated profiles. It is lightweight, noiseless and can be operated either manually or automatically. It reliably protects apartments, cottages, commercial facilities and offices and creates coziness. In addition, it is a decorative element and makes any facade more aesthetic, adapted to modern trends.

The product can be made with **perforated panels** - this type of blind is actively used in malls and shopping centers.

ცეცხლგამძლე გარედამცავი ჟალუზი
Fireproof roller shutters

სავაჭრო ცენტრებისა და საწარმოო ობიექტებისთვის **ცეცხლგამძლე გარედამცავი ჟალუზი** განსაკუთრებით საჭირო პროდუქტია. ის ხანძარსაწინააღმდეგო მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებს, ასევე პროდუქტის მახასიათებლები სრულად შეესაბამება საერთაშორისო **EN 13501-2:2007** სტანდარტებს. ჟალუზის წარმოებაში სპეციალური ცეცხლგამძლე მასალა გამოიყენება, თითოეული მათგანი კი რეალიზებამდე შესაბამის ტესტს გადის. იმართება ავტომატურად.







For shopping centers and facilities, **fireproof roller shutters** are a particularly necessary thing. It fully meets fire safety requirements, as well as the product features fully comply with international **EN 13501-2:2007** standards. In the production of blinds, special fire-resistant material is used, and each of them undergoes corresponding testing before sale. Is carried out automatically.

მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯარა
Plastic steel doors and windows


„დიო“-ში როგორც **გერმანული**, ასევე **თურქული** წარმოების **მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრის** შერჩევა შეგიძლიათ, **რომლის ყველა მაკომპლექტებელი ევროპული წარმოებისაა.**

გერმანული/თურქული პროფილი - 60 მმ-70 მმ / 1,5-2,0 მმ მყარი არმირება / ამერიკული მინაპაკეტი გერმანული რეგულირებადი ფურნიტურა / ევროპული მანქანა-დანადგარები / ევროპული სტანდარტით აწყობა & მონტაჟი თანამედროვე სტანდარტით / ჰოლანდიური სამონტაჟო ქაფი.

„დიო“-ში ამერიკული წარმოების კომპანია - **GUARDIAN**-ის ენერგოეფექტური მინა-პაკეტის შერჩევაა შესაძლებელი ორმაგი და სამმაგი მინა-პაკეტით.



1 კამერიანი მინა-პაკეტი 2 კამერიანი მინა-პაკეტი 3 კამერიანი მინა-პაკეტი






სასტუმრო “სევსამორა”



კერძო ობიექტი, (ინგლისური სტილი)



რესტორანი “დერგი”

In “Dio” you can choose plastic-steel doors and windows of both, **German** and **Turkish** production, **all components of which are made in Europe.**

German/Turkish profile - 60 mm-70 mm / 1.5-2.0 mm solid reinforcement / American glazed unit German adjustable fourniture / European accessories / Assembly according to the European standard and installation according to the modern standard / Dutch mounting foam.


In “DIO” it is possible to select an energy-efficient glazed unit of the American production company - **GUARDIAN** with a double and triple glazed unit.


ალუმინის კარ-ფანჯარა და ფასადის სისტემები

Aluminum doors and windows and Aluminum facade systems


„დიო“-ში გერმანულ-პოლონური კომპანია - **ALUPROF**-ისა და თურქული კომპანია **ASAŞ**-ის - (შედარებით ბიუჯეტური) ნებისმიერი ფუნქციის მქონე **ალუმინის კარ-ფანჯრისა** და ფასადის სისტემების შერჩევა შეგიძლიათ, რომლებიც წარმოდგენილია: მაღალი ხარისხის ალუმინის პროფილებით, პოლიამიდის თერმოხიდით (რაც უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის თბოიზოლაციას), რეგულირებადი გერმანული ფურნიტურა/მექანიზმებით **WALA**, **GU**, **ROTO** მინა-პაკეტით **GUARDIAN.**

ფასადის სისტემებში გამოყენებულია თანამედროვე და უმაღლესი ხარისხის ალუმინის პროფილები და აქსესუარები, რაც უზრუნველყოფს მაქსიმალურ **ჰერმეტულობასა** და **თერმოიზოლაციას**.





ფანჯარა | დასაკეცი კარი | სლაიდური კარი | ფასადის სისტემა | ზამთრის ბაღი



კერძო ობიექტი



სასტუმრო “გრუვ დიზაინი”



სასტუმრო “შატო მარანი”

In “DIO” you can choose aluminum doors and windows and facade systems with any function of the German-Polish company “**ALUPROF**” and the Turkish company **ASAŞ** – (relatively cheap), which are represented by: high-quality aluminum profiles, polyamide thermal break (which ensures high-quality thermal insulation), adjustable German accessories/mechanisms **WALA, GU**, **ROTO** glazed unit **GUARDIAN**.

Modern and high-quality aluminum profiles and accessories are used in facade systems, which ensure maximum **hermeticity** and **thermal insulation.**

ჟალუზი სანრემო
Sanremo blinds

სანრემო „დიო“-ს ექსკლუზიური პროდუქტია, ჰორიზონტალური ფარდა-ჟალუზი მოთავსებულია ჰერმეტიზირებულ მინა-პაკეტში, ჰიგიენურია და პრაქტიკულად მოვლას არ საჭიროებს. განსაკუთრებით ეფექტური და აუცილებელია ისეთ დაწესებულებებში, სადაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება **ჰიგიენური ნორმების დაცვას**.

მარტივად იმართება მინაზე მიმაგრებული მაგნიტის მექანიზმების საშუალებით, შესაძლებელია ფირფიტების როგორც ნახევრადწრიული ბრუნვა, ასევე მათი ვერტიკალურ სიბრტყეში აკეცვა და ჩამოშვება.

არ ზიანდება, არ საჭიროებს **გაწმენდას** და ფორმას ინარჩუნებს.







SANREMO is an exclusive product of “Dio”, horizontal roller blind is placed in hermetic glazed unit, It is hygienic and practically maintenance-free. It is especially effective and necessary in institutions where **hygiene standards are of great importance.**

Easily managed by means of magnet mechanisms attached to the glass, it is possible to rotate the plates in a semicircle, as well as to fold and drop them in the vertical plane.

It does not get damaged, does not need **cleaning** and keeps in shape.

რულონური და სექციური ავტოფარეხის კარი
Rolling and sectional garage doors

„დიო"-ში შეგიძლიათ შეარჩიოთ ორი სახის, როგორც **რულონური**, ისე **სექციური** ავტოფარეხის კარი.

რულონური კარი პროფილის მყარი ზედაპირით გამოირჩევა, მისი შემადგენელი პენოპლასტის სპეციალური შრე კი თბოიზოლაციას უზრუნველყოფს.

სექციური კარი მყარი და ჰერმეტულია, ღიობის თავზე მხოლოდ 20 სმ-მდე მანძილს საჭიროებს. პროფილის სისქე 4 სმ-ია და შევსებულია პენოპლასტის ქაფით, რაც უზრუნველყოფს კარის სიმყარეს და თბოიზოლაციას.

იმართება ავტომატურად, ასევე მექანიკურად - ჯაჭვის დახმარებით.



კერძო ობიექტი, რულონური კარი





კერძო ობიექტი, რულონური კარი

In Dio, you can choose two types of garage doors, both roll and sectional.

The **roller door** is distinguished by a solid surface of the profile, and a special layer of foam plastic that is part of it provides thermal insulation.

The **sectional door** is solid and airtight, requiring only up to 20 cm of space above the opening. The thickness of the profile is 4 cm and it is filled with penoplast foam, which ensures the strength and thermal insulation of the door.

It is managed automatically, as well as mechanically - with the help of a chain.

ინდუსტრიული კარი
Industrial Door

„დიო”-ს ინდუსტრიული სექციური კარი არის ფართოდ გამოყენებადი, ინდუსტრიული ობიექტების ფასადებზე არსებული ღიობების ჰერმეტული დახურვისთვის; განსაკუთრებით ეფექტურია საწარმოო სივრცეებსა და სასაწყობე მეურნეობებში, ხელს უწყობს ტემპერატურის შენარჩუნებას.

The industrial sectional door of “Dio” is widely used for hermetic closing of doorways on facades; It is especially effective in production spaces and warehouses, it helps to maintain the temperature.





სასაწყობე კარის ფარდა | High Speed door

იღება და იხურება ძალიან სწრაფად, რითიც ახდენს საწარმოო პროცესების ოპტიმიზაციას, სამაცივრე და სასაწყობე მეურნეობებში ხელს უწყობს ტემპერატურის შენარჩუნებას. კარი შექმნილია როგორც გარე, ისე შიდა მოხმარებისთვის.



გადატვირთვის პლატფორმა | Loading Platform

პროდუქტი ტვირთის გადაადგილებას ერთი სივრციდან მეორეში მარტივად ახდენს.

მოიცავს:

* შენობის იატაკის და ავტომობილის ძარის სიმაღლის გათანაბრებისთვის გადასატვირთ ხიდებს, გადმოტვირთვის პლატფორმებს;

* ჰერმეტიზაციას, კონტეინერის და კარის ჭრილის დასაკავშირებლად საქონლის დაცლისა და ჩატვირთვის პროცესში. ზედა სექციურ კარს, სამუშაოს დასრულების შემდეგ შესასვლელის დასახურად.

* დამცავ ნაწილებს (ბამპერები, საბურავების მიმმართველები, კონსოლები)

* უსაფრთხოების მოწყობილობებს (გამაფრთხილებელი სისტემები, შუქნიშნები, ჩამკეტი სისტემები)



ალაყაფის გასაგორებელი და ორფრთიანი კარი

Sliding and double swing gate

„დიო”-ში ძრავებთან ერთად შეგიძლიათ შეუკვეთოთ **ორი ტიპის ჭიშკარი:**

ქარიან ტერიტორიაზე **გასაგორებელი ტიპის ჭიშკარი** განსაკუთრებით პრაქტიკულია. მონტაჟი შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული ადგილი არის ეზოში ღიობის გვერდით - რათა დაეტიოს.

თუ ღიობის გასწვრივ ადგილი არ არის არცერთ მხარეს **ორფრთიანი კარი** იდეალურია. ამ ტიპის კარი **დამატებით ბეტონის სამუშაოებს არ საჭიროებს** (რელსებისა და გორგოლაჭების დამონტაჟებას. აწყობილი ჩარჩოთი მარტივად მონტაჟდება). იმართება ავტომატურად.



კერძო ობიექტი, გასაგორებელი კარი



კერძო ობიექტი, გასაგორებელი კარი



კერძო ობიექტი, ორფრთიანი კარი

Along with motors, you can order **two types of gates in “Dio”:**

A sliding gate is especially practical in windy areas. Installation is possible if there is a designated place next to the opening in the yard – in order to place the door.

If there is no space along the opening on either side a **double swing gate** is the best. This type of door does not require additional concrete work (Installation of rails and rollers. Easily installed with assembled frame). It is controlled automatically.

მწერებისგან დამცავი ბადე
Mosquito Screen

დახვეწილი დიზაინისა და თანამედროვე ტიპის ბადე მწერებისაგან თავის დასაცავად საუკეთესო საშუალებაა. იმართება მარტივად და ხანგრძლივი ექსპლუატაციით გამოირჩევა.

ბადის სახეობები:

კლისე - მის ქოვილს აქვს გოფრირებული ფორმა, რაც საშუალებას იძლევა გაკეთდეს დიდი ზომის ღიობებზე.

რულონური - მოძრავი ბადე, რომელიც კარის ან ფანჯრის ჩარჩოზე მონტაჟდება და სეზონურად მოხსნა-დაყენებას არ საჭიროებს, რადგან მოძრაობს მიმმართველებში და იხვევა ხუფში.

სტაციონარული - კარის ან ფანჯრის ჩარჩოში თავისივე სამაგრებით მაგრდება. მისი მოხსნა-დაყენება შესაძლებელია სურვილისამებრ.

ანჯამებზე მოძრავი - ბადე მოძრაობს ანჯამების საშუალებით, იკეტება მაგნიტითა და სპეციალური ფიქსატორით.

სლაიდური - თანამედროვე ტიპის ბადე დიდი ზომის ღიობისთვის განსაკუთრებით მოსახერხებელია. მოძრაობს სასრიალო პროფილზე, შედგება მყარი ალუმინის 60 მმ-იანი ჩარჩოსაგან და მასში ჩაჭიმული ბადის ქსოვილისგან. პროფილის ტექნიკური მახასიათებელი საშუალებას იძლევა არ ჰქონდეს დამატებითი ტიხარი.

With its sophisticated design and modern style, the mosquito screen is the best way to protect place from insects. It is controlled easily and has a long service life.

Types of mosquito screen:

Pleated mosquito screen - its fabric has a corrugated shape, which allows it to be made on large openings.

Roller mosquito screen – Movable net that is installed on a door or window frame and does not need to be removed and assembled during the season, since it moves along guide profiles and is wrapped in the lid.

Stationary mosquito screen – It is installed in the door or window frame with its own fasteners. It can be removed and installed as desired.

Mosquito screen on hinges - the net moves by means of hinges, is closed with a magnet and a special click.

Sliding mosquito screen – A modern type of net is especially convenient for large spaces. Moves on a sliding profile, it consists of a solid 60mm thick aluminum frame with mesh fabric stretched inside. The technical characteristic of the profile allows to avoid an additional partition.



კერძო ობიექტი, კლისე ბადე



კერძო ობიექტი, სლაიდური ბადე



კლისე ბადე

Pleated mosquito screen





რულონური ბადე

Roller mosquito screen





სტაციონარული ბადე

Stationary mosquito screen





ბადე ანჯამებზე

Mosquito screen on hinges





სლაიდური ბადე

Sliding mosquito screen




ავტომატური საფარდე კარნიზები
Motorized Curtain Rods



საფარდე კარნიზები ავტომატური ფარდისთვის გამოიყენება. მოსახერხებელია დიდვიტრაჟებიანი და მაღალჭერიანი შენობებისთვის, რადგან ფარდების გახსნა–დახურვა კულტის საშუალებით ხორციელდება. მექანიკური ალუმინის საფარდე კარნიზი - არის იტალიური კომპანია „**MOTTURA**“-ს წარმოების, არის უფრო **მყარი.**

„დიო“-ში განსაკუთრებით სასტუმროებისა და ჰორეკა სექტორისთვის მოსახერხებელი ფარდების სრული ასორტიმენტია. არაალებადი ქსოვილების შერჩევა სასურველი ფერის მიხედვით არის შესაძლებელი.







Motorized Curtain Rods is used for automatic curtains. Convenient for buildings with large windows and high ceilings, since the curtains are opened and closed using a remote control. Mechanical aluminum curtain rod - manufactured by the Italian company “**MOTTURA**”, is more solid.

“Dio” offers a complete range of curtains, especially suitable for the hotel and HORECA sector. It is possible to choose non-flammable fabrics with desired color.

რომაული ფარდა
Roman blinds



რომაული ფარდის საშუალებით ინტერიერში ელეგანტური, თანამედროვე და ვინტაჟური სტილი ერთიანდება.

მართვის პრინციპიდან გამომდინარე, შესაძლებელია ოთახში შემომავალი სინათლის სურვილისამებრ განაწილება.



ეროვნული ბიბლიოთეკა, რომაული ფარდა



კერძო ობიექტი

Elegant, modern and vintage styles are combined in the interior with the help of **Roman blinds.** According to the control principle, it allows to distribute the light entering the room as desired.

იაპონური ფარდა
Japanese blinds



იაპონური ფარდა სლაიდური პანელებისაგან შედგება, უპირატესად გამოიყენება განიერი და მაღალი ვიტრაჟებისათვის. პროდუქტი მოსახერხებელია “სტუდიოს ტიპის” ბინებშიც, მაშინ, როდესაც შიდა სივრცის გამოყოფა გვსურს.

ორივე სახეობის ფარდის მართვა შესაძლებელია როგორც მექანიკურად, ასევე ავტომატურად დისტანციური მართვის საშუალებით.



კერძო ობიექტი



შპს “ბელინსკი” იაპონური ფარდა

The Japanese blinds consists of sliding panels, it is mainly used for wide and high stained-glass windows. The product is convenient for “studio type” apartments as well, when we want to divide the internal space.

Both types of blinds can be controlled mechanically or automatically by remote control.

ერთმაგი და ორმაგი ფარდა-როლეტი
Single and double roller blinds

ფარდა-როლეტი კლასიკური ფარდებისა და ჟალუზების ალტერნატივაა, ქსოვილის ტიპისა და სახეობის მიხედვით, რულონური ფარდის გამოყენება შესაძლებელია კლასიკურ ფარდებთან კომბინაციაშიც.

ორმაგი ფარდა-როლეტი ერთ კასეტაში ან ერთ კარნიზზე კომპაქტურად მოთავსებულ, ორი დამოუკიდებელი მართვის მქონე როლეტის კომბინაციას წარმოადგენს, რომელთაგან ერთი, როგორც წესი, ნაწილობრივ შუქგამტარია, მეორე კი აბსოლუტური დაბნელების საშუალებას იძლევა. შესაძლებელია ქსოვილზე სასურველი ტექსტის ან გამოსახულების დატანა/დაპრინტვა. იმართება როგორც მექანიკურად, ასევე ავტომატურად.


კულმან აქსის თაუერსი


კერძო ობიექტი, ფარდა-როლეტი


კერძო ობიექტი, ორმაგი ფარდა-როლეტი

Roller blind is an alternative of classic curtains and blinds, based on the type and variety of fabric, roller blinds can be used in combination with classic blinds.

A double roller blind is a combination of two independently controllable roller blinds, compactly placed in one cassette or on one curtain rod, one of which is usually partially opaque, and the other allows absolute blackout. The desired text or image can be applied/printed onto the fabric. It is controlled both mechanically and automatically.

მაგნოლია
Magnolia

მაგნოლია ფიქსირდება ფანჯრის მოძრავ ან უძრავ ნაწილებზე - „ფრთებზე“ და იკავებს მინიმალურ ადგილს. აქვს ალუმინის პატარა, კომპაქტური ხუფი (დოლურა) და გვერდითა მიმმართველები, რომელთა საშუალებით ფანჯრის გაღება-გადმოკიდების დროს ქსოვილი არ ფრიალებს და ინარჩუნებს მდგრადობას. შესაძლებელია ქსოვილზე სასურველი ტექსტის ან გამოსახულების დატანა/დაპრინტვა. იმართება მექანიკურად.





“ბაბალე”, მაგნოლია



კერძო ობიექტი

Magnolia is fixed on movable or fixed parts of the window - “wings” and it takes up minimal space. It has a small, compact aluminum lid (collector) and side guide profiles, thanks to which the fabric does not flutter when opening and hanging the window and remains stable. The desired text or image can be applied/printed onto the fabric. It is controlled mechanically.

ზებრა ჟალუზი
Zebra roller-blind



ზებრა როლეტი რულონური ტიპისაა, რომელიც წარმოადგენს 7-10 სმ.-ის სიგანის ჰორიზონტალურ, ზოლებად განლაგებულ, ნაწილობრივ ან მთლიანად შუქგაუმტარი და ტიულის (ბადისებრი) ქსოვილების ერთობლიობას. ქსოვილები მოძრაობს ე.წ. „ღვედის“ პრინციპით - წრეზე, რისი საშუალებითაც, სინათლის შემოსვლის ინტენსივობა რეგულირდება. იმართება როგორც მექანიკურად, ასევე ავტომატურად.





Zebra belongs to roller type of blinds, which is a combination of horizontal, striped, partially or completely opaque and tulle (mesh) fabric of 7-10 cm width. Fabrics move with so called “belt” principle – in a circle, thanks to which the intensity of the incoming light is adjusted. It is controlled both mechanically and automatically.

ალუმინისა და ხის ჰორიზონტალური ჟალუზი

Aluminum and Wooden Horizontal Blinds

ჟალუზის დიზაინი ელეგანტურია და ხელს უწყობს შენობაში მზის სხივების თანაბარ გადანაწილებას, დახურულ მდგომარეობაში კი მაქსიმალურად აფერხებს სინათლის შემოსვლას.

„დიო“-ში ჰორიზონტალური ჟალუზის შერჩევაა შესაძლებელი:

1. ჟალუზი - **25 მილიმეტრიანი** ლამელებით (ალუმინისა და ხის მასალით);
2. ჟალუზი - **50 მილიმეტრიანი** ლამელებით (ხის მასალით).

იმართება როგორც მექანიკურად (25მმ ლამელები), ასევე ავტომატურად (50მმ ლამელები) დისტანციური მართვის საშუალებით.



კერძო ობიექტი



კერძო ობიექტი, ალუმინის ჟალუზი



კერძო ობიექტი, ხის ჟალუზი

The design of the blinds is elegant and helps to distribute sunlight evenly throughout the building and, when closed, provides maximum blockage of light penetration.

The following can be chosed in “Dio”:

1. Blinds – with **25 millimeters** lamellas (aluminum and wooden material);
2. Blinds – with **50 millimeters** lamellas (wooden material);

It is controlled both mechanically (25 mm lamellas) and automatically (50 mm lamellas) using a remote control.

ვერტიკალური ჟალუზი
Vertical Blinds

ვერტიკალური ჟალუზის ლამელი (ქსოვილი) შენობის ჭერს ვიზუალურად ამაღლებს. ჟალუზის მართვის მექანიზმი თანაბარი და ზომიერი სინათლის ნაკადის შემოსვლის საშუალებას იძლევა.

მისი გამოყენება რეკომენდებულია როგორც საოფისე, ასევე საოჯახო ინტერიერისათვის.

ქსოვილი სპეციალურად დამუშავებულია, რათა იყოს მყარი, ამასთან, არ იკავებს მტვერს, გამოირჩევა ანტისეპტიკური თვისებებით.


კერძო ობიექტი


კერძო ობიექტი


N-55 საჯარო სკოლა

Vertical Blinds The lamella (fabric) of vertical blinds visually lifts the ceiling of the building. The blind control mechanism ensures an even and moderate flow of light.

It is recommended for both office and family interiors.

The fabric is specially treated to be firm, also it does not hold dust, and it has antiseptic features.

ჟალუზი კლისე და ჭერის ფარდა
Pleated blinds and ceiling curtains

ჟალუზი კლისე თანამედროვე და არასტანდარტული კონფიგურაციის ფანჯრებისთვისაა განკუთვნილი. ქსოვილი, რომლისგანაც კლისე ჟალუზი მზადდება, ანტისტატიკური და ანტიბაქტერიული თვისებებით ხასიათდება.

ჭერის ფარდა - უნიკალური პროდუქტია განსაკუთრებით ზამთრის ბაღებისთვის. პროდუქტის დიზაინიდან გამომდინარე შესაძლებელია გამოყენება დიდი ვიტრაჟების მზისგან დასაცავად.

ქსოვილი - ანტიბაქტერიული და ანტისტატიკურია, არ იცვლის ფერს.


კლინიკა „აპტოსი“, ჭერის ფარდა


კერძო ობიექტი, ჟალუზი კლისე


კერძო ობიექტი, ჭერის ფარდა

Pleated blinds are designed for modern and non-standard configuration windows. The fabric from which pleated blinds are made, has antistatic and antibacterial features.

ceiling curtains - a unique product, especially for winter gardens. According to the design of the product, it can be used to protect large stained-glass windows from the sun.

The fabric is antibacterial and antistatic, does not change color.

მინის კარი
Glass Door

მინის კარი მიმზიდველ და თანამედროვეს გახდის შენობის როგორც ინტერიერის, ასევე ექსტერიერის დიზაინს. მინის კარის მექანიზმი და ანჯამები გერმანული ხარისხის არის. პროდუქტს აქვს 180 გრადუსიანი გაღების მექანიზმი, რომლის მეშვეობით იღება და იკეტება ჰორიზონტალურად.

პროდუქტი მზადდება ნაწრთობი მინისგან, გამოსაყენებლად კი მარტივი და მოსახერხებელია.

მისი ვარიაციებია:

შესაძლებელია დამონტაჟდეს როგორც ალუმინის კონსტრუქციაში, ისე დამოუკიდებლად; ბრენდირებული ფირის გამოყენებით შესაძლებელია ვიზუალიზაციის მიღება; სახელურის დიზაინის შერჩევა ინდივიდუალურად ხორციელდება.







A glass door will make both the interior and exterior design of the building attractive and modern. Glass door mechanism and hinges meets to German quality. The product has a 180-degree opening mechanism, thanks to which it opens and closes horizontally.

The product is made of tempered glass, and it is easy and comfortable to use.

It has the following variations:

It can be installed either in an aluminum structure or independently; visualization can be obtained using branded tape; The handle design is chosen individually.

აბაზანის მინის ტიხარი
Glass partition for bathroom

„დიო”-ს პრემიუმ ხარისხის **აბაზანის მინის ტიხარი** მაქსიმალურად კომფორტულია ნებისმიერი ზომის აბაზანაში, ჰარმონიულად ერწყმის დიზაინს.

აბაზანის ტიხარი სამი სახის არის:

1. ანჯამაზე მოძრავი 2. სტაციონარული (უძრავი) 3. გასაგორებელი

პროდუქტი უმაღლესი ხარისხის, ევროპული წარმოების 8მმ-იანი ან 10მმ-იანი ნაწრთობი მინისგან მზადდება, რაც შესაბამისად მის უსაფრთხო გამოყენებას უზრუნველყოფს. სურვილისამებრ შესაძლებელია კატალოგიდან მინის ფერებისა და პროდუქტის ვიზუალის შერჩევა.

ხოლო პროდუქტის კომპლექტაცია ევროპული წარმოებისაა და წარმოდგენილია შემდეგი ფერებით:

1. ვერცხლისფერი 2. ინოქსი 3. შავი 4. ოქროსფერი

პროდუქტი აბაზანაში არა მხოლოდ დახვეწილ გარემოს ქმნის, არამედ სივრცის დაზოგვას უზრუნველყოფს, სტანდარტული ტიპის აბაზანის მინის ტიხარი გაცილებით პატარა ადგილს იკავებს.







A premium quality **bathroom glass partition** in “Dio” is the most comfortable for any size of bathroom, and combines harmoniously with design.

There are three types of bathroom partition:

1. Movable on hinges 2. Stationary (immovable) 3. Sliding

The product is made from 8mm or 10mm thick European-made tempered glass of the highest quality, which, accordingly, ensures its safe use. The color of the glass and the appearance of the product can be selected from the catalog as desired.

A set of products is made in Europe and is represented in the following colors:

1. Silver 2. Inox 3. Black 4. Golden

The product not only creates an elegant environment in the bathroom, but also saves space; a glass partition in a standard bathroom takes up much less space.

მინის მოაჯირი
Glass balustrades



მოაჯირების დიზაინი დახვეწილი და ესთეტიკურია, ხოლო კონსტრუქცია მსუბუქი და მტკიცე. ალუმინის მოაჯირების შევსება შესაძლებელია მინით (ნაწრთობი ან ლამინირებული), ასევე პოლიკარბონატის ფილებით. ხანგრძლივი ექსპლუატაციის პირობებშიც კი მისი მოვლა ძალიან ადვილი და მოსახერხებელია.






The design of the **railing** is exquisite and aesthetic, and the structure is light and solid. Aluminum railings can be filled with glass (tempered or laminated glass), also with polycarbonate sheets. Even under long-term operation conditions, its maintenance is very simple and convenient.

ავტომატური კარის სისტემები
Automatic door systems

შვეიცარიული კომპანია **“GILGEN DOOR SYSTEMS”**-ის **სენსორული კარი** თანამედროვე გადაწყვეტილებაა არის ავტომატიზაციისთვის. იღება და იკეტება ჰორიზონტალურად კედლის გასწვრივ. გაღების დროს არ იკავებს სივრცის ნაწილს, გადაადგილებისას კი კარზე მექანიკურ შეხებას არ საჭიროებს.

მსოფლიოში წამყვანი მწარმოებლის “**BOON EDAM**”-ის ბრენდის **მბრუნავი კარი** შენობის ფასადის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. პროდუქტი ალუმინის კონსტრუქციებისგან არის დამზადებული და უძლებს დიდ დატვირთვას. ძირითადად სასტუმროებში, რესტორნებში, ბანკებსა და სავაჭრო ცენტრებში გამოიყენება.







The sensor door of the Swiss company **“GILGEN DOOR SYSTEMS”** is a modern solution for automation. It opens and closes horizontally along the wall. When opening, it does not take up part of the space, and when moving, it does not require mechanical contact with the door.

The revolving door of the world’s leading manufacturer of the **“BOON EDAM”** brand is the most important element of the building facade. The product is made of aluminum construction and can withstand heavy loads. It is mainly used in hotels, restaurants, banks and shopping malls.

მინის მოძრავი გადახურვა
Retractable glass ceiling

„დიო”-ს **მინის მოძრავი გადახურვა** ალუმინის, მინისა და ერთგვარი პოლიკარბონატის კონსტრუქციაა, რომელიც გამოირჩევა მაღალი ხარისხითა და გამძლეობით.

იდეალურად გამოიყენება **ოთხი სეზონის განმავლობაში**: აივნებთან, აუზებთან, კაფე-რესტორნებისა და ნებისმიერი ტიპის ღია სივრცის გადასახურად.

მისი გახსნა და დახურვა შესაძლებელია, როგორც ავტომატური ძრავით, ასევე მექანიკურად, ხელით; არის ძალიან მოქნილი და ადვილად გამოყენებადი.







Retractable glass ceiling of “Dio” is a construction of aluminum, glass and a kind of polycarbonate, which is characterized by high quality and durability.

Perfect for **all four seasons:** to cover balconies, swimming pools, cafes, restaurants and any type of open spaces.

it can be opened and closed either by an automatic motor or mechanically, manually; It is very flexible and simple to use.

ჭკვიანი სახლი
Smart Home

„დიო“-ს ნებისმიერი (ავტომატიზებული) პროდუქციის მართვა **ჭკვიანი სახლის** მეშვეობით, როგორც სახლიდან ასევე დისტანციურად არის შესაძლებელი. პროდუქტის გამოყენება ძალიან მარტივია და **აუმჯობესებს ცხოვრების ხარისხს.**







Any (automated) products of “ Dio” can be controlled via a **smart home,** both, from home and remotely. The product is very simple to use and improves **the quality of life.**



კერძო ობიექტი, რეფლექსოლი









“ვოლვოს” ცენტი, რეფლექსოლი



კერძო ობიექტი, ალუმინის ვიტრაჟული ტიხარი






კერძო ობიექტი, პერგოლა, შემინვის სისტემები

















რესტორანი “დერგი” მეტალოპლასტმასის (ინგლისური სტილი) კარ-ფანჯარა









კერძო ობიექტი, ალუმინის (სლაიდური) პარ-ფანჯარა

